

შპს „სტაილი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერი

სექტემბერი 2021
თბილისი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. შესავალი	11
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	12
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. ძირითადი საშუალებები	16
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	16
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
7. ფული და ფულის ექვივალენტები	17
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
9. საიჯარო ვალდებულებები	18
10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	18
11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18
12. კაპიტალი	18
13. შემოსავალი	18
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
15. მიწოდების ხარჯები	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17. ფინანსური ხარჯები	20
18. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	20
19. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	20
20. ფინანსური რისკის მართვა	21
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
22. საქმიანობის უწყვეტობა	23
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტაილი“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სტაილი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლების სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ვერ ასახავს უტყუარად და სამართლიანად შპს „სტაილი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლებისათვის მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 4 669 131 ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური მარაგები. კომპანიის მოღვაწეობის მთელ პერიოდში არ მომხდარა აღნიშნული მარაგების ინვენტარიზაცია და ჩვენც ვერ მოვახერხეთ რაიმე ალტერნატიული პროცედურის გამოყენებით მარაგების აღრიცხვის უტყუარობის დადასტურება.

კომპანიის ბიზნესი არის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მისი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს რეალიზებული მარაგების ღირებულება შეადგენს. იმის გამო რომ ვერ ხერხდება მარაგების აღრიცხვის უტყუარობის დადასტურება ექვს ქვემ დგება 10 249 655 ლარის ოდენობის თვითღირებულების აღრიცხვის სიზუსტეც.

კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია 2 185 885 ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებები. მათი უმრავლესობა შეძენილია 10-12 წლის წინ და კომპანიის აღრიცხვის პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა იყოს სრულად გაცვეთილი ან/და ჩამოწერილი. მიუხედავად ამისა ეს ძირითადი საშუალებები ისევ ირიცხება კომპანიის ბალანსზე და მათ ისევ აქვთ გარკვეული საბალანსო ღირებულება. ამასთანავე კომპანია არ აწარმოებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ფინანსური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიამ ვერ მოგვაწოდა ძირითადი საშუალებების სრული რეესტრი. თავისი ისტორიის განმავლობაში კომპანიას არ მოუხდენია აღნიშნული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და გადაფასებაც. ყველა ზემოთ მოყვანილი გარემოების გათვალისწინებით ჩვენ ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ნსიზუსტესთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ

მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას) და რომელიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას. შესაბამის სამუშაოებს განვახორციელებთ ხელმძღვანელობის მხრიდან მმართველობის ანგარიშგების მოწოდების შემდეგ.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი

მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

30 სექტემბერი 2021 წ.

თბილისი, საქართველო



შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენ	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018	01-იან- 2018
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები		2 185 885	2 173 084	2 406 548	2 298 050
არამატერიალური აქტივები		22 853	24 939	27 614	6 512
აქტივების გამოყენების უფლება		2 841 146	3 788 195	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოში		139 738	139 738	139 738	139 738
სხვა გრძელვადიანი აქტივები		8 898	8 898	29 849	27 179
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 198 520	6 134 854	2 603 749	2 471 479
მიმდინარე აქტივები					
სასაქონლო მატერიალური მარაგები		4 669 131	4 148 417	3 021 838	3 035 165
საგადასახადო აქტივები		-	140 854	232 549	179 108
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1 019 776	1 540 719	1 409 584	1 957 227
გადახდილი ავანსები		34 486	86 199	72 866	50 253
ფული და ფულის ექვივალენტები		1 013 196	1 658 937	1 217 316	956 288
სულ მიმდინარე აქტივები		6 736 589	7 575 126	5 954 153	6 178 041
სულ აქტივები		11 935 109	13 709 980	8 557 902	8 649 520
მიმდინარე ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1 747 055	3 071 076	1 887 265	2 384 013
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები		895 636	840 240	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		25 618	-	-	-
მოკლევადიანი სესხები		3 024 879	2 060 329	949 270	331 434
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5 693 188	5 971 645	2 836 535	2 715 447
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები		2 002 353	2 172 487	2 295 002	2 507 998
გრძელვადიანი ვალდებულებები იჯარიდან		2 221 429	3 117 066	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		113 707	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4 337 489	5 289 553	2 295 002	2 507 998
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		573 206	573 206	573 206	526 425
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი		264 369	264 369	264 369	264 369
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		1 512 384	2 588 790	2 635 281	2 635 281
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		(445 527)	(977 583)	(46 491)	-
სულ კაპიტალი		1 904 432	2 448 782	3 426 365	3 426 075
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11 935 109	13 709 980	8 557 902	8 649 520

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

30 სექტემბერი 2021 წ.
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

შენ,	2020 წელი *	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13 308 589	15 059 490	11 594 496
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(10 249 655)	(11 164 944)	(7 934 545)
მიწოდების ხარჯები	(578 674)	(549 597)	(477 918)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	2 480 260	3 344 949	3 182 033
საოპერაციო ხარჯები			-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 158 720)	(2 577 663)	(2 804 625)
ფინანსური ხარჯები	(766 872)	(815 757)	(381 418)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2 925 592)	(3 393 420)	(3 186 043)
არასაოპერაციო შემოსავლები	2 071	55 768	85 016
არასაოპერაციო ხარჯები	(8 131)	(388 795)	(32 886)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	5 865	(596 086)	(94 610)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(445 527)	(977 584)	(46 490)
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	(445 527)	(977 584)	(46 490)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	-	-	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)	(445 527)	(977 584)	(46 490)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

30 სექტემბერი 2021 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	რეზერვები და სხვა დაფინანსება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	526 425	2 635 281	264 369	3 426 075
დივიდენდის გაცემა	-	-	-	-
კაპიტალის შევსება	46 781	-	-	46 781
პერიოდის შედეგი	-	(46 490)	-	(46 490)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	573 206	2 588 791	264 369	3 426 365
დივიდენდის გაცემა	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	(977 584)	-	(977 584)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	573 206	1 611 207	264 369	2 448 782
დივიდენდის გაცემა	(98 823)	-	-	(98 823)
პერიოდის შედეგი	-	(445 527)	-	(445 527)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	474 383	1 165 680	264 369	1 904 432

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



30 სექტემბერი 2021 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-		
მოგება დაბეგვრამდე	(445 527)	(977 584)	(46 490)
კორექტირება:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	970 716	959 569	-
პროცენტის კორექტირება	766 872	815 757	381 418
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	5 865	(596 086)	(94 610)
	1 297 924	201 656	240 318
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(520 714)	(1 126 579)	13 327
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	520 943	(131 135)	547 643
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	51 713	(13 333)	(22 613)
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში	140 854	91 695	(53 441)
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში	-	20 951	(2 670)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1 324 021)	1 183 811	(496 748)
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	25 618	-	-
ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალის ცვლილებიდან	(1 105 609)	25 408	(14 504)
გადახდილი პროცენტი	(766 872)	(815 757)	(381 418)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(574 557)	(588 693)	(155 604)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(36 469)	132 227	(108 498)
არამატერიალური აქტივების შეძენა	2 086	2 675	(21 102)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(34 383)	134 902	(129 600)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
ზრდა/(შემცირება) მიღებულ სესხებში	794 418	988 544	404 842
ზრდა/(შემცირება) სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში	113 707	-	-
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი თთანხები	(840 240)	(689 220)	-
გადახდილი დივიდენდი	(98 823)	-	-
კაპიტალის შევსება/(შემცირება)	-	-	46 781
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(30 938)	299 324	451 623
საკურსო სხვაობა ფულადი სახსრების გადაფასებიდან	(5 865)	596 086	94 610
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(645 743)	441 619	261 029
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1 658 937	1 217 316	956 288
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1 013 196	1 658 937	1 217 316

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

30 სექტემბერი 2021 წ.
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი:

Handwritten signature of the financial manager.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31
დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სტაილი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1995 წლის 09 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში.

„კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ ., 173/1 .

კომპანიას ყავს ორი დამფუძნებელი:

გიორგი კეკელიძე, 01010000949 66.7%

თეიმურაზ ინაშვილი, 01003004682 33.3%

„კომპანიის“ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია: გიორგი კეკელიძე, 01010000949

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს პარფიუმერული პროდუქციის იმპორტი და გასაღება საცალო და საბითუმო ქსელში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ პირველ ანგარიშგებას. ის შეესაბამება როგორც მსს ფასს-ის სტანდარტებს, ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2020	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად, კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადს და მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შევსებების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ჰყავს როგორც შტატიანი, ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებისაგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	აქტივების გამოყენების უფლება	სულ
ბალანსი 01-იან-2018	156 552	250 750	949 920	340 893	758 081	-	2 456 196
შეძენა	-	24 881	56 140	-	27 581	-	108 602
გასვლა	-	-	-	-	(104)	-	(104)
ბალანსი 31-დეკ-2018	156 552	275 631	1 006 060	340 893	785 558	-	2 564 694
შეძენა	3 983	8 985	6 244	16 292	32 865	4 646 526	4 714 895
გასვლა	-	-	(140 949)	(50 411)	(9 236)	-	(200 596)
ბალანსი 31-დეკ-2019	160 535	284 616	871 355	306 774	809 187	4 646 526	7 078 993
შეძენა	-	4 666	82 744	-	5 043	-	92 453
გასვლა	-	-	(55 984)	-	-	-	(55 984)
ბალანსი 31-დეკ-2020	160 535	289 282	898 115	306 774	814 230	4 646 526	7 115 462
აკუმულირებული ამორტიზაცია 01-იან-2018	-	(12 263)	(96 475)	(39 333)	(10 074)	-	(158 145)
ამორტიზაციის ხარჯი	-	-	-	-	-	-	-
ამორტიზაცია გასულ პერიოდებზე	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2018	-	(12 263)	(96 475)	(39 333)	(10 074)	-	(158 145)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(10 900)	(85 754)	(34 962)	(8 954)	(858 332)	(998 902)
ამორტიზაცია გასულ პერიოდებზე	-	-	27 637	9 885	1 811	-	39 333
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2019	-	(23 163)	(154 591)	(64 410)	(17 217)	(858 332)	(1 117 714)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(1 835)	(14 438)	(5 886)	(1 508)	(947 049)	(970 716)
ამორტიზაცია გასულ პერიოდებზე	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2020	-	(24 998)	(169 029)	(70 297)	(18 725)	(1 805 381)	(2 088 430)
ნარჩენი ღირებულება 01-იან-2018	156 552	238 487	853 445	301 560	748 007	-	2 298 050
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2018	156 552	263 368	909 585	301 560	775 484	-	2 406 548
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	160 535	261 453	716 764	242 364	791 970	3 788 194	5 961 279
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2020	160 535	264 284	729 086	236 477	795 505	2 841 145	5 027 031

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მოახდინა IFRS 16-ის მიღება და შესაბამისად მოხდა აქტივების გამოყენების უფლების აღიარება ფიქსირებული აქტივების ანგარიშზე.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
საქონელი	4 626 915	4 106 408	2 986 738	2 996 675
სარეკლამო გასაფორმებელი მასალა	26 466	26 466	21 591	21 591
სარეკლამო საქონელი	10 734	10 734	10 734	10 734
მც.ფასიანი საწყობში	2 775	2 775	2 775	2 775
სასაჩუქრე ბარათები	2 119	2 034	-	3 390
ა/მ რეცხვის ტალონები	123	-	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	4 669 131	4 148 417	3 021 838	3 035 165

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს საქონელი წარმოადგენს. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა სარეკლამო მასალები.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
კონსიგნატორები	798 426	1 171 768	1 107 279	1 672 051
ამექს ბარათით მომსახურება	110 480	108 326	44 090	76 677
მომწ-ზე გადახდილი ავანსები	57 794	52 195	76 594	42 798
მოთხ. მიწოდებიდან და მომსახ.	38 888	45 687	44 416	49 137
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	14 188	162 742	137 204	116 564
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 019 776	1 540 719	1 409 584	1 957 227

მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს საბითუმო მოვაჭრეებზე კონსიგნაციით გაცემულ საქონელთან დაკავშირებული მოთხოვნები. წარმოდგენილი მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ ნაწილს, შესაბამისად კომპანიას არ განუხორციელებია უიმედო ვალების აღიარება და შესაბამისი რეზერვი არ შექმნილა.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
დოლარი თიბისი ბანკში	183 724	1 434	-	-
ევრო თიბისი ბანკში	186 554	548 953	682 111	72 841
ეროვნ ვალუტა თიბისი ბანკში	416 733	763 887	470 662	682 621
ეროვნ ვალუტა საქართვე ბანკში	129 187	247 680	-	-
კომპანიის ბიზნეს ბარათი დოლარი	3 172	3 325	2 230	3 891
კომპანიის ბიზნეს კარტა ლარი	117	833	500	-
ნაღდი ფული ეროვ. ვალუტ ქუთაისი	10 813	12 003	11 520	20 412
ნაღდი ფული ეროვ. ვალუტ. ბათუმი	14 893	20 185	6 173	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	43 037	60 496	44 119	176 523
რუსული რუბლი თიბისი ბანკში	24 966	142	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1 013 196	1 658 937	1 217 316	956 288

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 628 005	2 972 570	1 831 657	2 309 437
მომსახურე ორგანიზაციები	95 480	42 371	26 922	31 090
ვალდებულება მეიჯარესთან	14 793	47 358	19 909	35 349
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8 777	8 777	8 777	8 138
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 747 055	3 071 076	1 887 265	2 384 013

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს მომწოდებლების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები წარმოადგენს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

9. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე წილი	895 636	840 240	-	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	2 221 429	3 117 066	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	3 117 065	3 957 306	-	-

საიჯარო ვალდებულებები წარმოქმნა დაკავშირებულია კომპანიის მიერ IFRS 16-ის გამოყენების დაწყებასთან 2019 წლის 1 იანვრიდან.

10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
მოკლევადიანი სესხები თიბისი ბანკში	2 775 289	1 885 509	736 273	140 703
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	249 590	174 820	212 997	190 730
სულ მოკლევადიანი სესხები	3 024 879	2 060 329	949 270	331 434

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები ორი ნაწილისგან შედგება, ერთი წარმოადგენს თიბისი ბანკისგან აღებულ მოკლევადიან სესხებს საბრუნავი კაპიტალის შესავსებად, ხოლო მეორე ამავე ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი საკრედიტო ხაზების მიმდინარე ნაწილია.

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
გრძელვადიანი საბანკო სესხები	836 626	662 093	836 913	1 049 910
გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისაგან	1 165 726	1 510 392	1 458 089	1 458 089
სულ გრძელვადიანი სესხები	2 002 353	2 172 487	2 295 002	2 507 998

გრძელვადიან სესხებში გაერთიანებულია როგორც საბანკო საკრედიტო ხაზები ასევე პარტნიორი კომპანიებისაგან და კომპანიის დამფუძნებლისაგან მიღებული სესხები.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალმა 2018 წლის 01 იანვარს 3 426 075 ლარი შეადგინა, აქედან საწესდებო კაპიტალი იყო 526 425 ლარი, ხოლო აკუმულირებული მოგება 2 635 281 ლარი ამავე დროს კომპანიას ქონდა 264 369 ლარის ოდენობის გადაფასების რეზერვი.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 46 490 ლარის ოდენობის ზარალი. იმავე პერიოდში მოხდა კაპიტალის ზრდა 46 781 ლარით, კაპიტალში სხვა ცვლილება არ მომხდარა.

2019 წელს კომპანიამ მიიღო 977 584 ლარის ოდენობის ზარალი. 2019 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალის რაიმე სხვა ცვლილება არ მომხდარა.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ ისევ მიიღო 445 527 ლარის ოდენობის ზარალი, ამავდროულად კომპანიამ გასცა 98 823 ლარის ოდენობის დივიდენდი. სხვა ცვლილება კაპიტალში არ მომხდარა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2020 წლის 31 დეკემბერს 1 904 432 ლარი შეადგინა.

13. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13 677 000	15 224 270	11 924 122
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	12 804	-
გაყიდული საქონლის დაბრუნება. და ფასდათმობა	(368 411)	(177 585)	(329 626)

სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	13 308 589	15 059 490	11 594 496
------------------------------	------------	------------	------------

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. სხვა სახის საოპერაციო შემოსავლები კომპანიას პრაქტიკულად არ გააჩნია. შემოსავლის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს უკან მობრუნებული საქონელი და ფასდათმობები.

არასაოპერაციო შემოსავლები უმნიშვნელოა და ძირითადად დაკავშირებულია მარაგების დანაკლისის შემოსავლად აღიარებასთან, რაც მოთხოვნილია საქართველოს საგადასახადო

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(8 696 190)	(9 459 849)	(7 310 325)
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	(923 937)	(1 013 656)	(832 442)
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(900 331)	(811 614)	-
შეძენილი, საქონლის უკან ბრუნება და ფასდათმობა	270 803	120 175	208 221
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(10 249 655)	(11 164 944)	(7 934 545)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში უდიდესი წილი საქონლის ღირებულებას უჭირავს. ასევე მნიშვნელოვანია პირდაპირი ხელფასის ნაწილიც. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ დაიწყო IFRS 16-ის გამოყენება, რის შედეგადაც სავაჭრო ფართების გამოყენების უფლების ამორტიზაციაც შევიდა თვითღირებულებაში.

15. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	(248 644)	(295 140)	(239 368)
ტესტირების და სინჯების ხარჯი	(175 362)	(118 603)	(62 776)
მარკეტინგის ხარჯი	(119 816)	(124 227)	(164 630)
სარეკლამო სტენდების ხარჯი	(31 266)	(10 001)	(9 436)
მიწოდების სხვა ხარჯები	(2 211)	-	-
დიზაინის ხარჯები	(1 375)	(1 625)	(1 708)
სულ მიწოდების ხარჯები	(578 674)	(549 597)	(477 918)

მიწოდების ხარჯების უდიდეს ნაწილს რეკლამის და სატესტო/სასინჯ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია დანახარჯები მარკეტინგულ კამპანიებზე.

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	(815 889)	(861 122)	(873 603)
სამეურნეო ხარჯი	(201 579)	(141 134)	(104 176)
საიჯარო ქირა	(153 173)	(195 973)	(1 179 665)
ცვეთა და ამორტიზაცია	(74 126)	(191 689)	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	(71 414)	(72 213)	(65 925)
ფიზ პირების შრომის ანაზღაურება	(66 155)	(75 249)	(124 928)
საკრედიტო ბარ.მომსახ. ხარჯი	(64 974)	(72 288)	(53 472)
ელ. ენერგიის ხარჯი	(52 054)	(63 625)	(58 715)
კომუნიკაციის ხარჯები	(30 990)	(33 659)	(31 129)
სატრანსპორტო ხარჯი	(24 345)	-	-
საწვავის და რეცხვის ხარჯი	(23 086)	(38 636)	(41 431)
დაცვის ხარჯი	(21 798)	(25 716)	(20 531)
კომუნალური მომსახ. ხარჯი	(16 678)	(29 665)	(31 739)
საპენსიო დანარიცხები	(14 364)	(14 758)	-
დაზღვევა	(13 451)	(10 390)	(5 544)

საკანცელარიო ხარჯი	(12 297)	(10 462)	(12 279)
ენერგომენეჯმენტის ხარჯი	(11 776)	(17 664)	(16 084)
გზავნილების ხარჯი	(8 084)	(1 936)	(1 074)
ა/მ-ის მომსახურების ხარჯი	(7 802)	(15 788)	(12 078)
საოფისე ინვენტარი	(7 567)	(861)	(469)
საკონსულტაციო ხარჯები	(5 828)	(11 565)	(47 628)
მივლინების ხარჯი	(5 787)	(69 624)	(55 091)
მიმდინარე რემონტი	(3 199)	(3 142)	(4 323)
კომპიუტერის ხარჯები	(1 661)	(1 388)	(2 493)
საქველმოქმედო	(850)	(1 195)	(1 865)
საკასო მომსახურება	(619)	(1 591)	(1 083)
სხვა საბაჟო ხარჯი	(370)	(7 807)	(14 807)
ავტოსადგომის ხარჯი	(140)	(237)	(153)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(20)	(42)	-
საწევრო გადასახადები	-	-	(3 514)
უნიფორმის ხარჯი	-	-	(475)
სხვა საერთო ხარჯი	(448 645)	(608 244)	(40 354)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 158 720)	(2 577 663)	(2 804 625)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდეს ნაწილს შრომის ანაზღაურება შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია სამეურნეო და იჯარის ხარჯები. კომპანიის ერთ-ერთი მაღაზიის იჯარა დაკავშირებულია ამ სავაჭრო ფართის რეალიზაციასთან და ამიტომ მასზე არ გავრცელდა IFRS 16-ის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე ეს საიჯარო ხარჯი აღრიცხულია როგორც საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.

17. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(391 692)	(400 767)	(381 418)
აქტივის გამოყენების უფლების საპროცენტო ხარჯი	(375 181)	(414 990)	-
სულ ფინანსური ხარჯები	(766 872)	(815 757)	(381 418)

კომპანიის ფინანსური ხარჯების მკვეთრი ზრდა 2019 წელში გამოწვეული IFRS 16-ის გამოყენებით და აქტივის გამოყენების უფლებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯებით.

18. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად სავალუტო კურსის ცვლილება აისახება კომპანიის უწყისებში მოგების ან ზარალის სახით.

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობა	482 669	31 758	-
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(476 805)	(627 843)	(94 610)
სულ საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	5 865	(596 086)	(94 610)

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი სრულად წარმოადგენს რეალიზებულ თანხას და მას არ აქვს არარეალიზებული ნაწილი.

19. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებას. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო პოზიცია და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმის გათვლით, რომ შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოებით საოპერაციო და იურიდიული რისკების პრევენცია მოხდეს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში, გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია, ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანია არ ფლობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს. უცხოური ვალუტის კონცენტრაციის გარდა, კომპანიის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან კონტრაგენტებმა ვერ შეძლეს სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

► ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;

► სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ან ოპერაციები ორ მხარეს შორის, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის 33.2-33.4 პარაგრაფებში, ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

- (a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

სესხი დაკავშირებული მხარისგან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	618 175	962 841	910 538	910 538
სულ სესხი დაკავშირებული მხარისგან	618 175	962 841	910 538	910 538

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
შპს ამფორა	284 128	555 844	381 167	-
სულ მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	284 128	555 844	381 167	-

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ. 2020 წელს კომპანიამ გადაიხადა აღნიშნული სესხის ნაწილი.

ამავდროულად შპს „სტაილი“ არის შპს „ამფორა“-ს 100% წილის მქონე მფლობელი. შპს „ამფორა“ წარმოადგენს სუბსიდიის მფლობელს, იგი ყიდულობდა კომპანიის პროდუქციას შემდგომი რეალიზაციისათვის. დღეისათვის შპს „ამფორა“-ს, პანდემიის გამო შეჩერებული აქვს ფუნქციონირება და იგი ეტაპობრივად ფარავს კომპანიის მიმართ დავალიანებას.

საპროცენტო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(85 309)	(140 786)	(127 430)
სულ საპროცენტო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	(85 309)	(140 786)	(127 430)

წინაიდან კომპანიას აქვს დამფუძნებლისგან მიღებული სესხი, ამ სესხზე დარიცხული პროცენტები განიხილება როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაცია.

საიჯარო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
დამფუძნებლისგან ნაქირავები ფართის იჯარა	(164 393)	(176 136)	(176 136)
სულ საიჯარო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	(164 393)	(176 136)	(176 136)

კომპანიას აქვს დაქირავებული გარკვეული ფართი მისი დამფუძნებლისაგან, ამიტომ საიჯარო ხარჯების ნაწილიც განიხილება როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაცია.

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ხელფასები	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
დამფუძნებლებზე გაცემული ხელფასები	175 870	176 136	176 136
სულ დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ხელფასები	175 870	176 136	176 136

კომპანიის დამფუძნებელი ასევე არის კომპანიის დირექტორიც, ამიტომ მასზე გადახდილი ხელფასი განიხილება როგორც ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან.

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას იმის დაშვებით, რომ სამეურნეო სუბიექტი არის ფუნქციონირებადი საწარმო და ჩვეულებრივ გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

კომპანიის მოკლევადიანი აქტივები აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს, რაც ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რომ კომპანია არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე, მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს სტაილი

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს „სტაილი“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გავცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე.

ჩვენი ვალდებულებაა არსებითი უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ამასთან, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობის ანგარიშის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ და შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს;
- მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

გარიგების პარტნიორი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ დასკვნის გაცემისთვის საჭირო აუდიტორული პროცედურების შესრულებას, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 30 სექტემბერი



შესავალი წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ მონაცემებს, როგორიცაა:

- კომპანიის შესახებ, საქმიანობის მიმოხილვა
- კომპანიის სპეციფიკა და სტანდარტები
- კომპანიის მართვის სტრუქტურა
- კონკურენტული უპირატესობა:
- ფინანსური მაჩვენებლები
- სამომავლო გეგმები
- ძირითადი რისკები და მათი მართვა

კომპანიის შესახებ, საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია სტაილი დაფუძნდა 1995 წელს თბილისში და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო”-ს მიერ.

შპს სტაილის დამფუძნებლები არიან ბ-ნი გიორგი კეკელიძე და ბ-ნი თეიმურაზ ინაშვილი. კომპანიის დირექტორი - ბ-ნი გიორგი კეკელიძე.

კომპანია სტაილის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერიის, კოსმეტიკის და მოვლის საშუალებების იმპორტი და საბითუმო/საცალო ვაჭრობა. კომპანია სტაილის მფლობელობაშია სავაჭრო ქსელი „ვულე-ვუ“, რომელიც ახორციელებს ლუქს, სემი სელექტივების და მას მარკეტული პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების საცალო გაყიდვას საქართველოს მასშტაბით.

მაღაზიათა ქსელი „ვულე-ვუ“ მოიცავს 10 მაღაზიას და ასევე ონლაინ გაყიდვებს:

თბილისი:

- მარჯანიშვილის 19
- რუსთაველის 46
- ჭავჭავაძის 42
- პეკინის 27
- პეკინის 17
- ვაჟა-ფშაველას 35
- ს/ც სითი მოლი, ქავთარაძის 1
- ს/ც გლდანი მოლი

ბათუმი: გრობოედოვის 8

ქუთაისი: ს/ც ქარვასლა, ა. წერეთლის 4-4ა

ონლაინ მაღაზიას [www. voulez-vous.ge](http://www.voulez-vous.ge)

მაღაზიათა ქსელი "ვულე-ვუ" წარმოადგენს შემდეგ ბრენდებს:

Dior, Chanel, Guerlain, Givenchy, Kenzo, Montale, Mancera, Lancome, Armani, Ysl, Martin Margiela, Azzaro, Biotherm, Valentino, Mugler, Prada, Atelier Cologne, Viktor&Rolf, Paris Bleu, Cacharel, Hugo Boss, Gucci, Burberry, Calvin Klein, Chloe, Lacoste, Marc Jacobs, Balenciaga, Lancaster, Stella McCartney, Versace, Dsquared2, Moschino, S.Oliver, Betty Barclay, Baldessarini, Tabac, Karl Lagerfeld, Jimmy Choo, Lanvin, Boucheron, Van Cleef, Rochas, Repetto, Rimmel, David Beckham, Beyonce, Max Factor, Collistar, Baylis&Harding, Trussardi, Blumarine, Armand Basi, Laura Biagiotti, Angel Schlesser, Amouage, Air-Val.

2018, 2019 და 2020 წლებში კომპანია სტაილში დასაქმებული იყო 120 ადამიანი

კომპანიის სპეციფიკა და სტანდარტები

კომპანია სტაილი 1995 წლიდან არის სტაბილური პარტნიორი ქართული და უცხოური კომპანიებისთვის. ვინაიდან მაღაზიათა ქსელი „ვულე-ვუ“ წარმოადგენს მსიოფლიო და ევროპულ ბრენდებს, კომპანიას აქვს დანერგილი მაღალი ევროპული სტანდარტები.

ვულე-ვუს მაღაზიები მოწყობილია და აღჭურვილია საუკეთესო ხარისხის მასალებით და დახვეწილი დიზაინით. მომხმარებლებს მაღაზიებში ხვდებათ დატრენინგებული პროფესიონალები და თბილი, სასიამოვნო გარემო.

ამ სტანდარტებს უზრუნველყოფს მონიტორინგის გარკვეული ჯგუფები:


- ყოველ მაღაზიას ყავს მაღაზიაზე პასუხისმგებელი მენეჯერი, რომელიც აკონტროლებს მაღაზიის ყველა პროცესს და პასუხისმგებელია მათ შორის სალარო ოპერაციებზე;
- ჯგუფი, რომელიც ახორციელებს კონსულტანტების ჩაცმულობის, ქცევის და მომხმარებლებთან უერთიერთობის კონტროლს;
- ჯგუფი რომელიც გარკვეული ბრენდების მიხედვით ახორციელებენ პროდუქციის თაროებზე წარმოდგენის, ვადების, შენახვის პირობების კონტროლს;
- ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მაღაზიების ინტერიერის და ექსტერიერის მონიტორინგს;
- ტრენინგ-მენეჯერი - ახორციელებს კონსულტანტების გადამზადებას, სიახლეებიც გაცნობას;

ადმინისტრაცია თავის მხრივ მუდმივად ჩართულია მაღაზიების გამართულად მუშაობის პროცესში;

ყოველ 2 თვეში ერთხელ სხვადასხვა ბრენდების წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოში და ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებს, სადაც ხდება როგორც სიახლეების გაცნობა, ასევე გაყიდვების თანამედროვე ტექნიკების შესწავლა;

კომპანიის მართვის სტრუქტურა

კომპანიას აქვს ეფექტური სტრუქტურა, სადაც ყველა რგოლს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. საწარმოს სტრუქტურის თავში დგას დირექტორი, მას ემორჩილება მოადგილე, რომელიც კომპანიის ყველა დეტალში ბოლომდეა გარკვეული.



კონკურენტული უპირატესობა:

კომპანია სტაილის კონკურენტული უპირატესობაა პირველ რიგში მისი სტატუსი, როგორც გამოცდილი და სანდო პარტნიორის. კომპანიას აქვს მსოფლიო ბრენდებთან 20-25 წლიანი პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები.

როგორც საგალო ქსელის, ვულე-ვუს უპირატესობაა მისი დიდი ასორტიმენტი, რომელიც გათვლილია ყველანაირ მყიველუნარიან სეგმენტზე. მაღაზიებში ყოველთვის წარმოდგენილია ბოლო პერიოდის სიახლეები.

ვულე-ვუს მაღაზიათა ქსელმა პირველმა შემოიტანა და დანერგა ქართულ ბაზარზე არაერთი ეფექტური მარკეტინგული კამპანია და მოქნილი, მიმზიდველი შეთავაზებები. მაღაზიის თანამშრომლები ცდილობენ ყოველი მომხმარებელი გაუშვან დასაჩუქრებელი და მაქსიმალურად კმაყოფილი.

ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია, რაც გვიჩვენებს 2018, 2019 და 2020 წლების შედეგებს:

	2020	2019	2018
მიმდინარე აქტივები	6,736,589.00	7,575,126.00	5,954,153.00
გრძელვადიანი აქტივები	5,198,520.00	6,134,854.00	2,603,749.00
მიმდინარე ვალდებულებები	5,693,188.00	5,971,645.00	2,836,535.00
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,337,489.00	5,289,553.00	2,295,002.00
კაპიტალი	1,904,432.00	2,448,782.00	3,426,365.00

	2020	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,308,589.00	15,059,490.00	11,594,496.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და მიწოდება	(9,004,061.00)	(9,889,271.00)	(7,580,021.00)
საოპერაციო ხარჯები	(3,775,403.00)	(4,215,387.00)	(4,018,485.00)
საოპერაციო მოგება	529,125.00	954,832.00	(4,010.00)
მოგება(ზარალი)	(445,527.00)	(977,584.00)	(46,490.00)

კოეფიციენტები	2020	2019	2018
საოპერაციო მოგების მარჟა	4%	6%	0%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.18	1.27	2.10
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.36	0.57	1.03
უკუგება აქტივებზე	-4%	-7%	-1%
უკუგება კაპიტალზე	-23%	-40%	-1%

სამომავლო გეგმები

კომპანიას აქვს დასახული მიზნები როგორც საბითუმო, ასევე საცალო მიმართულებით.

- საბითუმო გაყიდვებში იგეგმება მნიშვნელოვანი ზრდა ახალი პარტნიორების და მიმართულებების დამატებით;
- საცალო სექტორში, მუდმივად მიმდინარეობს არსებული მაღაზიების რესტრუქტურირაცია და ოპტიმიზაცია, შესაძლოა გარკვეული ობიექტების ლოკაციის ცვლილება, რაც დამოკიდებულია მიმდებარე ტერიტორიების განვითარებაზე, საავტომობილო და საფეხმავლო გზების განვითარებასა და ცვლილებებზე.
- დაგეგმილია ახალი ლოკაციის დამატება ბათუმში, ვინაიდან ბათუმი წარმოადგენს მუდმივად მზარდ ქალაქს დიდი პოტენციალით.
- მიმდინარეობს არსებული ონლაინ მაღაზიის განახლება. ახალი მაღაზიის შექმნისას გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ბრენდების რეკომენდაციები. 2022 წლიდან voulez-vous.ge მთლიანად შეიცვლება და შესთავაზებს მომხმარებლებს მსოფლიო სტანდარტების შესაბამის მოქნილ და დახვერილ ონლაინ მაღაზიას.
- 2021-2022 წლებში კომპანიაში დაგეგმილია ვალდებულებების დიდი წილის შემცირება, ერთის მხრივ გაყიდვების მიმართულებების გაზრდის ხარჯზე, მეორე მხრივ მიმდინარე მაღაზიების ოპტიმიზაციით და შესაბამისად მარაგების მართვის გაუმჯობესებით.

ძირითადი რისკები და მათი მართვა

დღეისთვის კომპანია სტაილის ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია საცალო გაყიდვებთან, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებს, დაემატა მსოფლიო პანდემია, რის გამოც მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა COVID 19 გავრცელების შესაჩერებლად მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საცალო ბიზნესს.

ეს პროცესები მნიშვნელოვნად მოქმედებს ვალუტის კურსზე და იწვევს ძალიან მკვეთრ დევალვაციას, რაც რისკის ქვეშ აყენებს კომპანიას, რომელიც დამოკიდებულია 100%-ით იმპორტზე უცხოურ ვალუტაში.

გარდა ვალუტის კურსის ცვლილებისა, ეს პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების მყიდველუნარიანობაზე. იმ ლოკაციებზე, რომლებიც განთავსებულია ტურისტულ ადგილებში მცირდება უცხოელი მყიდველების წილი.

კომპანიას მუდმივად უწევს დასახული მიზნების და სტრატეგიების ცვლილება, რომ დროულად გაუმკლავდეს გამოწვევებს.

გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებისა, მოცემულ სფეროში არის საკმაოდ დიდი კონკურენცია. კომპანია სტაილი თავისი ლოიალური მომხმარებლებისთვის რჩება სანდო

პარტნიორად, სადაც მათ აქვთ გარანტია მიიღონ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მომსახურება.

კომპანია რჩება თავისი მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობების ერთგული და ასევე, მუდმივად ახორციელებს ახალი პარტნიორების დამატებას, ახალი ბრენდების შეთავაზებას მომხმარებლებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურობას და ამცირებს ბიზნეს რისკებს.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ხელმოწერა: _____
თარიღი: 30 სექტემბერი 2021

